ოქმი №4

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2026 წლის 17 მარტი.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:20 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – გ. შომახია, ე. ოდიშარია, გ. წურწუმია, ბ. კალანდარიშვილი, ზ. ყურაშვილი, ბ. შარტავა, გ. ოდიშარია, ვ. ჩიქობავა, მ. ნანეიშვილი, ნ. ხუხუნი, ვ. კირცხალია.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირი: ე. კიზირია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ზ. ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ი. ქარდავა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – გ. შომახია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის
სამსახურის უფროსის მ/შ: ე. კიზირია

2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2026 წლის 6 მარტს რეგისტრირებული სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მომართვის (სარეგისტრაციო N12-41260651-41) განხილვის თაობაზე ქ. სენაკში ი. ჩხეტიას ქუჩის ჩიხის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 11; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის
სამსახურის უფროსის მ/შ: ე. კიზირია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში“.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 11, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობა შეფასებულ იქნეს **დ ა დ ე ბ ი თ ა დ**.

2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი - სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე", რათა წარედგინოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

მოისმინეს: 2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2026 წლის 6 მარტს რეგისტრირებული სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მომართვის (სარეგისტრაციო N12-41260651-41) განხილვის თაობაზე ქ. სენაკში ი. ჩხეტიას ქუჩის ჩიხის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. სენაკში ი. ჩხეტიას ქუჩის ჩიხის ცვლილება მიზანშეუწონლად მიაჩნია, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის დადგენილება N239 - ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" - მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, რასაც კომისიის წევრები ეთხმად დაეთანხმნენ.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 11, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. უარი ეთქვას საქართველოს მთვრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" - მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე - ქ. სენაკში ი. ჩხეტიას სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი შომახია